

UDC 613.26

SCOPUS CODE 3002

**ჩვეულებრივი კაბლის (JUGLANS REGIA) და თხილის (CORYLUS) ნაყოფების, ბობრის (CUCURBITA) და ნესვის (CUCUMIS MELO) თხსლების სამპურნალო მნიშვნელობა  
ქართული ხალხური ტყაროვების მიხედვით**

- გ. პატარიძე** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: gigapataridze7@gmail.com
- ნ. გელოვანი** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: n.gelovani@gtu.ge
- მ. მაისურაძე** ქიმიური და ბიოლოგიური ტექნოლოგიების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0175, თბილისი, მ. კოსტავას 69  
E-mail: m\_maisuradze@gtu.ge

**რეცენზენტები:**

**თ. გიგოშვილი,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: t.gigoshvili@gtu.ge

**ხ. წიქარიშვილი,** სტუ-ის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფარმაციის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**ანოთაცია.** ხალხურ მედიცინაში ოდითგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერებული კვლევების ჩატარებას, რათა განვსაზღვროთ მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები.

მცენარეებიდან კვლევისათვის შევარჩიეთ: 1. თხილის (Corylus) ნაყოფი, 2. ჩვეულებრივი კაკლის (კაკალი, ნიგვზის ხე (ლათ. Juglans regia) ხის ნაყოფი, 3. გოგრის (ლათ. Cucurbita) თესლი, 4. ნესვის (Cucumis melo) თესლი.

თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისაგან მზადდება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება.

ნიგვზის ზეთი შეიცვას A, E, C, B ვიტამინებს, მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენძს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცილებელია ხანჭი შესული ადამიანებისთვის.

საქართველოში გოგრას მრავალი დასახელება ჰქონდა: გოგრა, კვახი, ხაბი და აყირო. სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი.

იადიგარ დაუდიში მითითებულია, რომ მოხარშული და დანაყული აყიროს ნაყენი არჩეს

”სტომაქის სიცხვეს და სიმხეურვალეს” უკრის ტკივილს, შეკრულობას, სიმსივნეს სხეულზე, ციებას, ცხელებას, თავის ტკივილს, ხველას.

ნებვის თესლი – პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა.

ნებვის თესლი მდიდარია თუთით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგრმარეობას.

**საპპარატო სიტვები:** აყირო; ვიტამინები; თხილი; ნიგოზი; ნებვი; ორგანული მჟავები.

## შესავალი

მედიცინაში ამჟამად ბევრი სამკურნალო საშუალება გამოიყენება. რომელთა საწყისი აღებულია ხალხური მედიცინიდან. ჯერ კიდევ პირველყოფილი ადამიანი იყენებდა სამკურნალო საშუალებებს. სამკურნალო საშუალებების მიღების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წეაროა მცენარეული და ცხოველური ნედლეული. დღესდღეობით დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარეული წარმოშობის პრეპარატებს, რომლებიც გამოიჩინა უსაფრთხოებით და მაღალი ევექტურობით. ხალხურ მედიცინაში ოდიოგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს არაერთი მეცნიერებული კავშირის ჩატარებას, რათა განისაზღვროს მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები. ნიგოზის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წეაროების მიხედვით.

წავლით და ოფიცინალურის მონათესავე სახეობების ფოლოგენეტიკური კლავის საფუძველზე; ხოლო ნედლეულის ბაზის გაფართოება – კლეურად მოზარდი მცენარეების კულტივირებით, უცხო ფლორის სახეობების ინტროდუქციით და ბიოტექნოლოგიური მეთოდის გამოყენებით.

ხალხურ მედიცინაში ოდიოგან გამოყენებული მცენარეების დიდი რაოდენობა საჭიროებს მათზე მთელი რიგი მეცნიერეული კალეგების ჩატარებას. რათა განისაზღვროს მათში ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობა, მათი გავრცელების არეალი, ბუნებრივი მარაგი და დამზადების შესაძლებლობები. ნიგოზის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წეაროების მიხედვით.

**მცენარეებიდან შევარჩიეთ:**

### 1. თხილის (*Corylus*) ნაყოფი



ნაყოფი ერთოუსლიანი კაპალია. გვარი შეიცავს 20-მდე ხახეობას, რომლებიც საქართველოში გავრცელებულია ტყეებში ზღვის დონიდან 1500-1800 მ-მდე ბუნებრივად იზრდება თხილის 6 სახეობა: ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana*) ბუჩქი ან 8 მეტრამდე სიმაღლის ხე, გავრცელებულია მთელ საქართველოში. იზრდება ძველებრივი მუხრანებში, ფართოფოთლოვან და წიწვოვან შერეულ ტყეებში, სუბალპური მეჩეურში. ჩრდილის ამტანი და საკმაოდ ყინვაგამძლეა. ყვავილობს თებერვალ-მარტში, ნაყოფი მწიფდება სექტემბერში.

თხილის გული შეიცავს 5%-მდე წყალს, 60-70% ცხიმებს, 15-16% ცილებს. მას მაღალი კავშირი დირებულება აქვს, კალორიულობით იგი 2-3-ჯერ აჭარბებს ხორბალს, 3-5-ჯერ ხორცს. ფართოდ გამოიყენება საკონდიტორ მრეწველობასა და ტექნიკაში უმაღლესი ხარისხის საპონი ზეთების

## ძირითადი ნაწილი

სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტის გაზრდის მიზნით, პერსპექტიულ სახეობათა ძიება ხდება ხალხური მედიცინის გამოცდილების შეს-

მისაღებად. მისი სასაქონლო-საექსპორტო პროდუქტის დადებითი მხარეა ვარგისობის ხანგრძლივი გადა, მაღალი ტრანსპორტული გადა.

თხილის კულტურის განვითარების ერთ-ერთ კერად ითვლება შავი ზღვის სანაპირო, მცირე აზიის ქვეწყები. საქართველოში თხილი მაღალ მოსავალს იძლევა კოლხეთის დაბლობის ზონაში.

საქართველოში თხილის კულტურას უხსოვარი დროიდან იცნობდნენ. ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ ძვ. წ. VI საუკუნეში ქართველური ტომები აშენებდნენ თხილის გარეულ ფორმებს, რომელთა ბუნებრივი ჰიბრიდი ზაციის და შერჩევის შედეგად წარმოიშვა გარემო პირობებს შეგუებული, მაღალმოსავლიანი ჯიშებისა და ფორმების სიმრავლე. დღეისათვის საქართველოში გაგრცელებული რამდენიმე ათგული აბორიგენული ჯიშის სახელწოდებები – შევლისყერა, ანაპლიური, გულშიშველა, ხაჭაპურა, ნემსა და მრავალი სხვა, მათ ადგილობრივ წარმოშობაზე მიგვითითებს.

ჩვენი წინაპრები კარგად იცნობდნენ თხილის საკვებ და სამკურნალო თვისებებსაც. მას წარმატებით იყენებდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა კერძის საკაზმად, არამედ შექმნეს უნიკალური ტრადიციული პროდუქტიც – "ჩურჩხელა", რომელიც გამორჩეულია თავისი კალორიულობითა და საუკეთესო გემოგნური თვისებებით. ამ დირსებების გამო "ჩურჩხელა" ისტორიულად მეომართა კუველდდიური კვების რაციონში შედიოდა და დღესაც იგი საქართველოში ერთ-ერთი პოპულარული ტემად იქნება.

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, თხილს საქართველოში იცნობენ შემდეგი დასახელებებით; თხილი (*Corylus*) მთ. რჭ. ფოთხირი, ფოთხილი; ჭნ. მთხირი; მგრ. თხირი; სენ. შდიხ, შდგხნდ, შდიხნდ.

თხილი დათვისა ნ. დათვის თხილი. დათვისთხილა (*Corylus iberica* Wittm. Et Kem. Nath. (= *Corylus*

columna auct. cauc.) ქრთ. დათვითხილა; ინგ. ტყიურა თხილ; მგრ. ტყარ თხილ.

თხილი კოლხეური ნ. კოლხეური თხილი. კოლხეური თხილი (*Corylus colchica* A L B ).

თხილი ლომბარდიული ნ. ლომბარდიული თხილი. ლომბარდიული თხილი (*Corylus maxima* Mill. (= *C tubulosa* Boissa)).

თხილი მანჯურული ნ. მანჯურული თხილი. მანჯურული თხილი (*Corylus mansurica* Max.).

თხილი მიწისა ნ. არაქისი. არაქისი მიწის თხილი *Arachis hipogaea* L. მგრ. დიხაში თხირი.

თხილი პონტიური ნ. პონტიური თხილი. პონტიური თხილი *Corylus pontica* C. Koch.

თხილი ჩვეულებრივი ნ. ჩვეულებრივი თხილი. ჩვეულებრივი თხილი (*Corylus avellana* L) მთ. რჭ. ფოთხილი, ფოთხირი; ჭნ. მთხირი, ნთხირი; მგრ. თხირი; სენ. შდიხ, შდგხნდ.

თხილის ზეთის გამოყენება ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით

ნედლ და გადამუშავებულ თხილის გულს ფართოდ მოიხმარენ საქონდიტრო წარმოებაში. გახეხილი თხილის გული გამოიყენება მშრალი საუზმისათვის, აგრეთვე შოკოლადის კრემის წარმოებაში და სხვ. თხილისგან ხდიან ზეთს, რომელიც საკვებ, ტექნიკურ და პარფიუმერულ წარმოებაში გამოიყენება. მშრალი თხილის გულისგან მზადება ფქვილი, რომელიც ბავშვთა საკვები პროდუქტებისათვის გამოიყენება და ორი წლის განმავლობაში არ კარგავს კვებით დირგბულებას და ზეთოვან თვისებებს.

თხილს სამკურნალო თვისებებიც აქვს. მველბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ანემის, ეპილეფსიის, თმის ცვენის, სხვადასხვა დაავადების დროს, თხილის ნაყოფის საბურველის (ჩენჩოს) ნახარშს სვამენ მოჭარბებული სიმსუქნის დროს, ფოთლების ნახარში კი ასუფთავებს სისხლს და მიმარ-

თავენ ათეროსკლეროზის და კენჭოვანი დავადუბების სამკურნალოდ. ამასთან თხილი შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ადამიანის ორგანიზმიდან მავნე ნივთიერებებს გამოდევნის და ხელს უწყობენ იმუნური სისტემის გაძლიერებას. აშშ-ში, პორტლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა, თხილის ექსტრაქტში აღმოჩნდეს ნივთიერება პაქლიტაკსელი, რომელიც შედის დღეისათვის ყველაზე ცნობილ ანტისიმისიგნური პრეპარატის (TAXOL) შემადგენლობაში. დღემდე ამ ნივთიერების ერთადერთ ბუნებრივ წყაროდ ითვლებოდა ტისის მერქანი (ერთ-ერთი იშვიათი მცენარე, რომელიც გაცრცელებულია წენარი თკეანის სანაპიროს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში). აღმოჩნდა, რომ თხილი ამ ნივთიერებას იგივე რაოდენით შეიცავს.

#### თხილის ზეთზე „იადიგარ დაუდიში“ არის ასეთი

**მითითება** „...არის უკეთესი ზეთოვანი იხმარებოდა წამლად...“. თირკმელების და ნებნების ტკივილის შემთხვევაში რეკომენდირებულია შემდეგი მცენარეები: „... თუ ესე ნეკთა და თირკმელის ალაგისა ტკივილი სიმსურგმლისაგან არის, ... ამისი წამლადი ეს არის რომე მხურებალი ოყნაები უყონ, მხურებალის ზეთებითა თბილსა ალაგსა შექონონ. ასფურის თესლის ერბო, ვითამცა და ალი სარჩულის ერბო, ინდოურის ნიგუზის ზეთი, ნაჟვის ზეთი, ყუსტის ზეთი, თხილის ზეთი, წიფლის ზეთი, სელის ზეთი, ნიგვზის ზეთი თბილ თბილი შეიცხონდა ამ ზეთებშიგა ნუშის ზეთი გაურიონ და ჭამონ...“

ახლად გამოჯანმრთელებულ ადამიანებს უწევენ - ”...მაგრამ ესე ბროწეულისა შარბათი სიქან ჯუბინითა იყოს და ნაჟუის გულისა ნიგოზსა, თხილსა, ნიშასთასა, და პალავაებსა და ტბილსა საჭმელებსა ყუელას უფრთხილდენ, თვარადა უსათუოდ კიდევ შეაქცევს.

თხილი, ამა თხილსა სიხმე და სიმსურებალე ირივ სწორად და ზომიერად აქუს. კაცმან რომე თხილი ჭამოს, ხელისათვის მწოდე კარგი არის. და

დედაცმან რომე ესე თხილი ჭამოს ბევრს რძესა ჩაუყენებს. და სიცივისა და სიგრილისაგან კაცსა რომე გული და სტომაქი სტეოლებს და ესე თხილი ჭამოს, გულისა და სტომაქის ტკივილსა მაშინვე უშველის, მაგრა კაცისა სტომაქშიგა გვიან დადნების, კაცი გვიან მოიდნობს, კაცსა თავსა აატკივებს, თესლისა გაუქმობს და მწოდე მოაკლდებს. საფრას მოუმატებს, ქარს აუგდებს, და თუ კაცმან ბევრი თხილი ჭამოს და აწყინოს, ამისი წამალი და აქმი შაქარი და შაქრიანი საჭმელები არის, ჭამონ და ეშველების.

მუდამ წელის ალაგსა თაფლ ჭყალი სუან. და ხილებისაგან თხილსა, ნაჟუსა, მართალსა ნიგოზსა, წიფლისა და ინდურის ნიგუზის გულისა მუდამად სჭამდენ”.

#### 2. ჩვეულებრივი კაკლის (კაკალი, ნიგვზის ხე (ლათ. *Juglans regia*) ხის ნაყოფი



კაკლის გაერცელებული ჯიშებია: 1. ჩვეულებრივი, 2. შამირა, 3. შავი კაკალი, 4. რუხი კაკალი, 5. გულისებრი კაკალი, 6. მანჯურიის კაკალი (კერკეტა) და 7. ჩანდლერის, რომელიც მიიღება მენობით და გამოირჩევა შედარებით მაღალი მოსავლიანობით. ასევე გვხვდება კაკლის შემდეგი ფორმები: ვაზისუბნის თხელნაჭუჭა, კახი-16, შილდა 31, ვაზისუბნის 95, თბილისური 223 და სხვა მრავალი.

საქართველოში ველური კაკლის ყველაზე დიდი კორომია მდინარე ალაზნის ნაპირებზე — პანკისის ხეობაში (10 ჰა) და ჯუმას კურეში (ალაზნის გელის ჭალაში, 40 ჰა). კაკლის გული შეიცავს ცხიმებს (45-77%), ცილებს (8-21%), B1 ვიტამინსა და A პროვიტამინს. მკანე ნაყოფი მდიდარია C ვიტამინით, მწიფე კაკლის გულისაგან — ნიგვზისაგან — ხდიან ზეთს და ხმარობენ საკონდიტო წარმოებაში. წენგოსაგან ამზადებენ ყავისფერ საღებავს. ფოთლები და წენგო იხმარება მედიცინაში.

მაყაშიოლის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, კაკალს საქართველოში შემდეგი დასახელებით იცნობენ: კაკალინ. ჩვეულებრივი კაკალი. ჩვეულებრივი კაკლის ხე კაკალი (Juglans regia L.). გურ., იმ., მგრ ნეძი; ხვნ. კაკრა, კაჭ გაპ.

კაკალი წყლისა 6. წყლის კაკალი. წყლის კაკალი, ჭუდუმბური. მგრ. ოხონისა; ჩ. ბალაბრაბლა.

ნიგვზის ზეთი დაავადებათა წინააღმდეგ:

**კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებები:** ბეტა-სიტოსტეროლი ამცირებს ქოლესტერინის ნაწლავებში შეწოვის უნარს, ასუფთავებს მის კედლებს. ნიგვზის ზეთის რეგულარული მიღება აჯანსაღებს კუჭ-ნაწლავის სისტემას, კურნავს წყლულებს. ნაჩვენებია მისი მიღება მაღალი მევიანობით მიმდინარე გასტრიტის შემთხვევაში. ზეთი დაბლა წევს კუჭის წევნის მევიანობას, აქრობს გულმარვებას. წარმატებით გამოიყენება ქოლეცისტიტის, კოლიტის, წყლულის კომპლექსურ მეურნალობაში. აძლიერებს ნაღვლის წევნის გამოყოფას, ხდის ნაღვლის საღინარებს ელასტიკურს ხდის, აძლიერებს და აღადგენს დგომის უჯრედებს. რეკომენდებულია მწვავე და ქრონიკული ჰეპატიტის დროს. ამის გარდა, ნიგვზის ზეთი ხელს უწყობს ჭიების გამოდევნას ორგანიზმიდან.

**გულ-სისხლძარღვთა სისტემა:** ნიგვზის ზეთი აწესრიგებს გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობას. ზეთის ზემოქმედებით სისხლძარღვები ხდება მკვრივი და ელასტიკური. ზეთი დაბლა

წევს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აწესრიგებს არტერიულ წნევას. დაბლა წევს ინსულინისა და ინფარკტის წარმოქმნის რისკს. აფერებს ათეროსკლეროზისა და ტრომბოფლებიტის წარმოქმნას. ნიგვზის ზეთი ეფექტურად გამოიყენება ვენების ვარიკოზული დაავადების შემთხვევაში, ამავე დროს იგი იწვევს სისხლის წარმოქმნის პროცესის სტიმულირებას.

**ენდოკრინული სისტემა:** არეგულირებს ფარისებრი ჯირკალის მოქმედებას. რეკომენდებულია ჯირკალის მომატებული ფუნქციის (ჩიკვის) დროს. რეგულარული გამოყენებისას ამცირებს შაქრის დონეს სისხლში.

**ნერვული სისტემა და თავის ტენი:** ზეთში შემავალი ვიტამინები დადებითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე. ზრდის გონებრივი მუშაობის შესაძლებლობას, აწესრიგებს ძილს და სხინს დაღლილობას. ამ ზეთის აქტიური კომპონენტები აუმჯობესებს თავის ტენის კაპილარების ელასტიკურობას, კვებავს თავის ტენის უჯრედებს.

**შარდსასქესო სისტემა:** ხელს უწყობს თირკმელების რბილ გასუფთავებას. რეკომენდებულია თირკმლის კენჭოვანი დაავადების დროს. აძლიერებს სისხლის მიმოქვევას სასქესო თრგანოებში. მამაკაცებში აძლიერებს სპერმატოგენეზს.

**ონკოლოგიური დაავადებები:** ნიგვზის ზეთი რეგულარული მიღება დაბლა წევს წინამდებარე ჯირკალის, მსხვილი ნაწლავის, საკვერცხების და მკერდის კიბოს წარმოქმნის რისკს. გარდა ამისა იცავს უჯრედებს თავისუფალი რადიკალების ზემოქმედებისაგან. მაღლა წევს ორგანიზმის წინააღმდეგობას რადიაციული და რენდგენოლოგიური დასხივების მიმართ. გამოიყენება რადიონეკლინიდებს და კანცეროგენებს ადამიანის ორგანიზმიდან.

**სუნთქვითი სისტემა:** უძველესი დროიდან გამოიყენება ფილტვის დაავადებათა სამკურნალოდ, პერიოდ ტუბერკულოზის. ნიგვზის ზეთი აძლიერებს იმუნურ სისტემას, აქედან გამომდინარე ამაღლებს ორგანიზმის მდგრადობას რესპირატო-

რეალი დაავადებების მიმართ. სასურველია გამო-  
ყენოთ შემოდგომა-გაზაფხულზე, როგორც გრი-  
პისა და გაციების პროფილაქტიკური საშუალება.

**მხედველობისა და სმენის ორგანო:** ნიგვზის ზეთის რეგულარული მიღება აუმჯობესებს მხედ-  
ველობას. ის გამოიყენება ოტიტის დროს.

**საყრდენ – მამორაგებელი სისტემა:** ნიგვზის ზეთი ეფექტური საშუალებაა ართრიტების და  
ართროზების პროფილაქტიკისათვის. ამ ზეთის კომპონენტები არეგულირებს სასახსრე სითხის სტრუქტურას.

**კანის დაავადებები:** ნიგვზის ზეთი გამოი-  
ყენება კანის ნებისმიერი ანოებითი დაავადებების დროს. ის აჩქარებს ჭრილობების, ნახეოქების,  
დამწერლობების შეხორცებას. გამოიყენება ფსო-  
რიაზის, ეგზემის, ფურუნჯულოზის დროს.

ნიგვზის ზეთი, ასევე რეცომენდებულია ფეხ-  
მძმითათვის, რადგან მასში შემავალი კომპონენ-  
ტები მონაწილეობენ ნაყოფის ნერგული უჯრ-  
დების ჩამოყალიბებაში. მეტებურ დედებში  
აძლიერებს ლაქტაციის პროცესს, აუმჯობესებს  
დედის რძის კვებით დირგებულებას.

ეს უნიკალური ზეთი საჭიროა ბავშვებისათ-  
ვის, რადგან ხელს უწყობს ბავშვის ფიზიკურ,  
გონებრივ და სქესობრივ სრულფასოვან განვი-  
თარებას. განსაკუთრებით სასურველია მისი  
მიღება მოზარდებისათვის.

როგორც მაღალი კვებითი დირგებულების  
პროდუქტი, ის აუცილებლად უნდა იქნეს ჩართუ-  
ლი ოპერაციის შემდგომ, რეაბილიტაციის პერი-  
ოდში ავადმყოფთა რაციონში.

ნიგვზის ზეთი წვავს ცხიმებს. არეგულირებს  
ნივთიერებათა ცვლას და ხელს უწყობს ორგა-  
ნიზმის გაახალგაზრდავებას.

ნიგვზის ზეთი შეიცავს A, E, C, B ვიტამინებს,  
მიკრო და მაკროელემენტებს (თუთიას, სპილენზის,  
კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, ფოსფორს). აუცი-  
ლებელია ხანში შესული ადამიანებისთვის.

ნიგვზის ზეთის მიღების უკუჩვენებები: ნიგვზის  
ზეთი – ჰიპოალერგიული პროდუქტია, მაგრამ ინ-

დივიდუალური აუტანდობის შემთხვევაში მისი  
მიღება უნდა შევწყვიტოთ. არ შეიძლება მისი მი-  
ღება აგრეთვე მოწამვლის, დებინების, მაღალი  
ტემპერატურის, ეროვნიული გასტრიტის, კაჭისა  
და ორმტებოჯა ნაწლავის წყლულის, დაბალი  
მჟავიანობის დროს. ამ დიაგნოზებით დაავადე-  
ბულმა ადამიანებმა ნიგვზის ზეთის მიღების წინ  
უნდა გაიარონ კონსულტაცია ექიმთან.

**„იადიგარ დაუდის“ 1932 წლის გამოცემაში  
აღნიშნულია, რომ ნიგვზი „... მხერვალი და  
ხმელია, ვინცა ესე ნიგვზი წმიდად დანაუც და  
კაცსა რომე სევდის სიმსივნე პქონდეს სიმსივ-  
ნეზედა დაადგას, ან ამ ნიგვზისა ზეთი შეცხონ  
სიმსივნეს უსათუოდ უშველის ძალითა დთისათა ...“**

ფილენჯის ქარის ქორეას (Chorea) სამკურნა-  
ლოდ რეკომენდაცია აქვს გაწეული ნიგვზის ზეთს -  
„... ნიგვზისა, ნაჟვისა, და წიფლის ზეთების ჭამა,  
და მტკიგანსა ალაგსა შეცხება, ფილანჯისა და  
უოვლის ფერის ფილანჯის ქარისათვის, მწოვედ  
კარგი არის, რომე ცალი კერძო მხარი და ბარგალი  
შეეტაცოს, და თავისა და ხელფეხის თრთოლი-  
სათვის მწოვედ კარგი არის ...“.

იგვე გამოცემაში ვკითხულობთ საუბარია  
ზეთების გამოყენებაზე ყურის ტკივილის დროს: ....  
ვინცა მწარის ნუშის ზეთი, ან ტებილის ნუშის  
ზეთი, ან ნიგვზის ზეთი, და ან ჭერმის კურკის ზე-  
თი, და ან აყიროსა, ან იისა ლულუფისა, და ან ვარ-  
დის ზეთი, ამ ზეთებშიგა რომელიც იყოს გაათბეთ  
და კაცსა თბილი ყურშიგა ჩაბწვეთ, და ყურის  
ტკივილსა უშელა უშველის, და ბუილსა და ყუილსა  
ყველას გაუგდებს...“

ხოლო ჭიის დასაყრელ წამლად მითითებულია  
რამდენიმე მცენარეთა ნაკრები, რომლის შე-  
მაღალებრივი ნივთიერებაშიც აუცილებლად გათვალისწინე-  
ბულია ნიგვზის ზეთი - .... აწე თასანუჯი, ემთილას,  
წამლები ის არის, რომე როცა წამლები ფილენჯისა  
და ფილენჯის ქარზედა დაგვიწერია, ისიც წამლები

ამავ თასანუჯი, ემთილას, უნდა უყოთ. და ჟუდამ თავსა და გულზედა უუსტის ერბო, სუზაბის ერბო, ნიგუზისა და ნაჟვის ზეთი, წიფლის ზეთი გამოჰქადონ, გაათბონ და შესცხონ, და დანაყილი მარილი, უზანდუხის ან თეხლი ან ფორი საჯშიგა ესეები მოხალონ და მწოედ გააცხელონ, და ერთსა სამოსლისა ნაჭერშიგა ჩაყარონ და თბილ თბილი გულსა და სტომაქზედა დაადგა...“

ღვიძლისა და თირქმელის ტკივილების დროს – „... აწე ამა სენისა წამალი ეს არის რომე, მხერვალის ზეთებითა ცეცხლის პირსა თირქმლის ალაგები კარგად დაიზილოს, და კარგად ცეცხლი იმცუნვარონ, რომე ქარი და სიცივე გააგდოს და თრიქმელსა

ძალი მისცეს. ასფურის თესლის ზეთითა, ვითამცა და იფნის ხის თესლის ზეთითათ ან ნიგუზის ზეთითა, ან ნაჟვისა და ინდაურის ნიგუზის ზეთითა, ან ნუშის ზეთითა, ან წიფლის ზეთითა, და ან მართლის ერბოთა ან თხილისა ან ზეთის ხილის ზეთითა, ან სელისა და ან უუსტის ზეთითა, ან ქათმისა ან იხვისა და ან ბატის ქონითა შეიქონონ და კიდევცა ჭამონ.

საერთო სისუსტის და ცხვირიდან სისხლდენის დროს და „... უერბოვო ცივი დო ასუან და კიტრი საზამთრო და ნიგოზი ბევრი აჭამონ ... ცხვირშიგა ის ზეთი ჩააწვეთონ და თაგზედა აყიროს ზეთი შემოსცხონ ...“

### 3. გოგრის (ლათ. Cucurbita) თეხლი



გოგრის 13 სახეობიდან ფართოდაა კულტივირებული ერთწლოვანი 3 სახეობა: მსხვილნაყოფა ანუ გიგანტური გოგრა, რომლისგანაც გამოყენილია სუფრის, საკვები და დეკორატიული ჯიშები — თეთრი თაფლა 611, მსხვილნაყოფა 1 და სხვა; მაგარენიანი ანუ ჩვეულებრივი გოგრა (ხოკრა, საქართველოში ძველთაგანვეა გავრცელებული).

თეხლი მსხვილი, ოვალური, თეთრი ან მოყვითალოა, გოგრის ძირითად ღირსებად მიიჩნევა კაროტინისა და ვიტამინების დიდი რაოდენობა. ამ ბოსტნეულის რბილობი ასევე შეიცავს დიდი რაოდენობით D ვიტამინს. ბავშვებისთვის ის განსაკუთრებით სასარგებლოა, რადგან აჩქარებს ზრდას,

ხოლო მოზრდილებში აუმჯობესებს კალციუმის შეწყვას, ამაგრებს ძვლებს და კბილებს, გარდა ამისა, გოგრაში არის B, C, D, PP, E ჯგუფის ვიტამინები. ანელებს დაბერების პროცესს და ეხმარება ადამიანს ოპტიმალური წონისა და სექსუალური აქტიურობის ნორმის ფარგლებში შეარჩენებაში. ისევე, როგორც ყველა ნარინჯისფერი ნაყოფი, გოგრაც ანტიდეპრესანტად მიიჩნევა.

მაგაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, გოგრას საქართველოში შემდგარი დასახელებით იცნობენ: ინგ. გუგრაა; იმ., რჭ. ლჩხ. კვახი; გურ. აჭარ. ხაპი; აყირო; ჭხ. კაიში, ყოყორე, ფელი; მგრ. კოპეშია; სვნ. კვახნეს, კოპეშია.

გოგრა ყელიანი ნ. აყირო – აყირო ყელიანი გოგრა (*legenaria vulgaris* Ser.) კ. წყლის გოგრა გრ. ქ. თათრული გოგრა; თშ. კოკოშია.

გოგრა თაფლა ნ. თაფლა - გოგრა. თაფლა-გოგრა (*Cucurbita moschata* Duchesne). კ. თაფლა - გოგრა.

გოგრა თეთრი ნ. მსხვილი გოგრა. მსხვილი გოგრა, თეთრი გოგრა (*Cucurbita maxima* Duch.). მც. ქესტანა; ქვ. იმ. თეთრი კვახი; გურ. ბამბის ხაპი; მგრ. ჩქინობურა კოპეშია.

გოგრა მეჭჭიანი ნ. მეჭჭიანი გოგრა. მეჭჭიანი გოგრა (*Cucurbita verrucosa* L.). კ. ხორკლიანი გოგრა, მუწუკიანი გოგრა; თშ. კეტრიანი გოგრა; ზმ. იმ. კვახავერცხა; მგრ. ხოკორია, ტიანი კოპეშია, ბუსკული კულამი კოპეშია.

გოგრა ხოკერა ნ. ხოკერა გოგრა. ხოკერა-გოგრა (*Cucurbita pepo* L.). კ. ქერეჭა - გოგრა, ხაკარა გოგრა; იმ. ხოკერა, ხოკორა - კვახი, შავკვახა; გურ. ხაპერაი; ჭ. ხოპერაში; მგრ. ხოკორია - კოპეშია, ხოკ.

**გოგრის თესლისაგან ხდიან საჭმელ ზეთს.**  
სამკურნალოდ გამოიყენება რბილობი და თესლი. რბილობი შეიცავს პექტინებს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, უჯრედისს, ორგანულ მჟავეებს, კაროტინს; კალიუმის, მაგნიუმის, რეინის მარილებს, შაქრებს, ფიტოსტერინებს, ვიტამინებს. თესლში არის ფიტოსტერინები, ორგანული მჟავები, ფიტები, ვიტამინები.

გოგრის რბილობს გააჩნია ნაღველმდენი, დამარბილებელი, ანთების საწინააღმდეგო და შარდმდენი თვისებები; აუმჯობესებს ქუჭ-ნაწლავის მოქმედებას, არეგულირებს ნივთიერებათა ცვლას. თესლი გამოიყენება ჭიის დასადენად. გოგრას იყენებენ ანემიის, ტუბერკულოზის, სიყვითლის, პიპორონიის, ნევროზის, ნიკრისის ქარის, ქოლგცისტიტის სამკურნალოდ. იგი მდიდარია დასუსტებული თვალებისთვის აუცილებელი კერატინთ.

ხალხურ მედიცინაში გოგრისგან გამოხდილ წენები იყენებენ თირკმელებისა და დვიძლის დაგადების დროს.

**აყირო, ყელიანი გოგრა** *L. Lagenaria vulgaris* Ser.



ქახური – წყლის გოგრა; გარეკახური – თათრული გოგრა; თუშური – კოკოშა; იმერული – კვატურა; რაჭული, ლეჩხუმური, ზემოიმერული – მწარე კვახი, სარწყულა კვახი; მთისრაჭული – ხრიკა, ხრიკას კვახი; გურული – მწარე ხაპი; აჭარული – კოში; ინგილოური – კოტოში; ჭანური – კარკალა, კოქოჩა, ჭურა; მეგრული – კოლოჭურა, ჭურა, ტუბლა, ჭურაში კოპეშია; სვანური – ტუბვირ; რაფიულ ერისთავი – ყარყარა კვახი.

**Synonym:** გოგრა თათრული, გოგრა წყლისა, კოში, კოტოში, კოკოშა, კვატურა, კვახი მწარე, კვახი სარწყულა, კვახი ყარყარა, მწარე კვახი, მწარე ხაპი, თათრული გოგრა, სარწყულა კვახი,

წყლის გოგრა, ხაპი მწარე, ხრიკა, ხრიკას კვახი,  
ყარყარა კვახი.

აყიროს გამოყენება ქართული ისტორიული  
წყაროების მიხედვით. სამქურნალოდ გამოიყენება  
მისი თეხლი და რბილობი. იადიგარ დაუდიში  
მთითებულია, რომ მოხარული და დანაყული  
აყიროს ნაყენი არჩენს ”სტომაქის სიცხეს და  
სიმხურვალეს” ყურის ტკიფილს, ჟებრულობას,  
სიმსივნეს სხეულზე, ციიბას, ცხელებას, თავის  
ტკიფილს, ხველას... (გვ. 165; 232). . . . “აყირო გრილი  
და ნედლი არის საფარას გააცუდებს, სისხლისა  
სიმხურვალესა დაავსებს, ძველის ხველისთვის  
მწოედ კარგი არის, სიცხისა და სიმხურვალისათვის  
მწოედ კარგი არის, კაცსა რომე, ან ეს აყირო მო-  
ხარშოთ (ხელით ჩამატებული) და აჭამოთ და ან  
დანაყოთ და ამისის გულის წყალი ასვათ, გულისა  
და სტომაქის სიმხურვალესა და სიცხესა მაშინვე  
ყველას გაუგდებს, კაცსა ყელსა და მკერდსა  
დაულბობს. კაცსა რომე სიმხურვალითა ყური  
სტკიოდებს და ამა აყიროს წვენი გამოპხადოს და  
ყურშიგა ჩაიწვეთოს, მაშინვე ყურის ტკიფილს  
უშეველის, კაცსა მუცელშიგა შეკრაგს და კაცისა  
სტომაქშიგან ფიცხლად დადნების. კაცმან რომე  
ნედლი აყირო ცეცხლშიგა ჩაფლას და კარგად  
შეიწვას ამოიღოს და ამისი წყალი გამოპხადოს,  
გააციოს, შაქარი ურიოს და სუას, ყოვლის ფერის  
მხურვლის სენის წამალი და აქიმი არის. ცხელე-  
ბისა, სენებისა, იარაყანისა და მხურვლის ხაფა-  
ყანისა. მაგრა ბევრი ამა აყიროს ჭამა ბევრს ფერსა  
ხილთებსა აშლის, ბალდამსა გააძალიანებს წე-  
ლებსა და ფაშვებსა აწევს და სტომაქსა აშლის.  
თუ კაცი ან შიგნით, ან გარეთ გასივდებს მოიტანე  
ნედლის აყირო დანაყეთ, წვენი ასვით და ტლედ  
სიმსივნეზედა დასდევით და მაშინვე უშეველის.

ვინცა აყიროს წვენი და ღვინო ერთგან გარიოს

და სუას მაშინვე მუცელშიგა გახსნის. თუ აყირომ  
კაცსა აწევნოს, ამისი წამალი და ნაწევნის გამ-  
ქარვებელი მდოგვი, პილპილი, მხურვალი მაჯუნები  
და კვითა იქნების.

ამგა აყიროს ერბო, გრილი და ნედლი არის, კაცსა  
ტვინსა და დამაღსა დაულბობს და მაღისულიას  
სენისათვის და სარსამისათვის მწოედ კარგი და  
გამორჩეული წამალი არის, რომე ესე აყიროს ზეთი  
ცხვირშიგა ჩაიწვეთონ. პილვე ესე აყიროს ერბო  
ცხარსა მმარტიგან გაურიონ წამოადულონ (ჩამატე-  
ბულია ხელით) და სიმხურვალითა მტკივანს თავ-  
ზედა შემოსცხონ, მაშინვე თავის ტკიფილს უშველის  
და კაცსა ძილად მიაგდებს და ტკილად დაეძინების,  
და კაცსა რომე დამაღი სიხმელითა გაუხმეს, და  
ყელი და ხახა გაუშრეს და ამა აყიროს ერბოსაგან  
ცხვირშიგა ჩაიწვეთონ და ცხეურზედაცა დასცხონ,  
და ორივ ყურები ამა აყიროს ერბოშიგა უნდა ედვას,  
უსათუოდ დამაღი გაუწედლდების, და ყელი და  
ხახაცა უსათოდ დაულებების და კაცი მორჩების. (ამ  
ფურცლის გვერდის აშიაზე სწერია დედნის ხელით  
„ამის ზეთს ერბო ჰქვიან“

თოხმაქანისა, კიტრისა და აყიროს თეხლები  
დანაყონ, და ამათი ლუბაი გამოპხადონ და ასვან. საზამთროსა, შუმხიარისა და ქასნის თეხლი ამავ  
რიგად ასვან, და თუ შაქარი იყოს, შაქრითა ასვან,  
და თუ შაქარი არ იყოს უშაქროდ ასვან, და ნედლი  
აყირო ცომშიგა ჩადვან და ცხელს ნაცარშიგა  
ჩაფლან, რომე ქარგად შეიწვას, მერმე გამოიღონ  
წყალი გამოპხადონ, გააციონ, შაქარი ურიონ და  
ასვან, ყოვლის მხურვლის სენისწამალი არის.

ვინცა აყიროს ზეთი ცხვირსა და ყურშიგა  
ჩაიწვეთოს, და ან ხშირად უსუნოს, თავის ტკიფილი  
ეშველის უსათოდ და დამაღი და ტგინი გაუ-  
ნელდოს. ან ვინცა ესევ ერბო ძმრით გააყენოს და  
წამოადულოს, და თავსა და საფეთქლებზედა შეიც-

ხოს თუ თავი ან საფრისა, და ან სისხლისა და ან სხვის სიმსურვალისაგან სტაიოდებს, უსათოოდ თავის ტკიფილი ეშველოს, და ტბილად დაიძინოს.

კიდევე ვისცა დამაღი გაუხმებს, და ან ყელი და ხახა გაუშრებს, მოიტანე ეს აყიროს ზეთი და ორსავე ცხეირშიგა ააწურე, და ცხეირზედაცა შეუხვი, და ორივე ქურები ერთსა ჟამამდისინ, ამა აყიროსა ზეთშიგა ჩაუდევ, და უსათოოდ დამაღი გაუქნელდების, და ყელი და ხახა გაუნელდების და დაულებების.

და თუ ამა ავად მყოფსა ძილი არ მოუვიდოდეს, ცხეირშიგა იის ზეთი ჩააწვეთონ და თავზედა აყიროს ერბო შემოსცხონ ან ისევ იის ერბო შემოსცხონ, და ხელი და ფეხი კარგად დაუზილო.

თავზედა აყიროსა, ან იისა და ან ლულუფრის ერბო შეიცხონ. თავის ტკიფილს უსათუოდ უშველის.

გველისა და მოერიელის ნაკბენის შემთხვევაში ურჩევენ... მოიტანე ერთი მომცრო პირ მოჭრილი აყირო და ამა აყიროშიგა ცოტა დაწერილი ბამბა ჩადევ და ამა ბამბასა სანთლითა ცეცხლი მოუკიდე და ნაკბენზედა დაადევ, კოტოშსავითა მოუჭირებს და მოეკიდების, და როდისცა მწოვედ მოკიდოს, ძალად უნდა მოგლიჯონ და შხამსა უკან უკმოაბრუნვებს და გამოიღებს..."

**4. ნესვის (Cucumis melo) თესლი – საქართველოში ნესვი დიდი ხანია ცნობილია. კულტურაში უმეტესად სუფრის ნესვია გაურცელებული. ნესვის თესლი ბრტყელი, კვერცხისებური და წაგრძელებულია.**

მაყაშვილის ბოტანიკური ლექსიკონის მიხედვით, ნესვე საქართველოში იცნობენ შემდეგი სახელით; ნესვი (Melo sativus Sageret) (= Cucumis melo L. var. cultus Kurz.) ინგ. ნეს; ჭ.ნ. კავონი; მგრ., სვნ. შინკა.

**ნესვის თესლი –** პოტენციის ასამაღლებელი უძველესი საშუალებაა. ამ მიზნით უმი თესლის დაღეჭვაა რეკომენდებული, უმჯობესია, თაფლთან ერთად და აუცილებლად ზომიერების დაცვით – არა უმეტეს დღეში ორი გრამისა.

ნესვის თესლი მდიდარია თუთიით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდვრმარეობას. საკმარისია, დღეში 2-5 გრამი ახალი თესლის მიღება (შეიძლება თაფლთან ერთადაც), რომ გარეგნობა შესამნევად გაგვიუმჯობესდეს.

**ნესვზე იადიგარ დაუდიში გვითხულობთ ასეთ მითითებას;**

... „ასრე კაცმან პირველ ის წინა ხილები ჭამოს და ამას უკან ესევები ჭამონ. და რა ნესუი ჭამონ, ნესტუან სხვა ხილი და საჭმელი ადარა ჭამონ. ამისთვის რომე რასაც საჭმელთანა ნესუსა სჭამ, იმა ყოველსა საჭმელსა წაახდენს.

კაცსა რომე შარდი სწვეთდეს, და ან შარდი გასდიოდეს, იმას დაუჭირავს და უშველის. და ვინცა ორი დრიპამი ნესვის თესლი გამოარჩიოს და ჭამოს, კაცსა კარგად შეერგების, გულსა და სტომაქსა გაუთბობს და ბევრს თესლს ჩაუყენებს.

თუ კაცსა შარდი დაჭირული ჰქონდეს, მოიტანე ცერეცო და წყლით მოადუღონ, და ცოტა იის წყალიცა გაურიონ და ზომიერი თაფლი ჩააგდონ, მოადუღონ და კიტრისა და ნესვის თესლები დანაყონ და წყალი გამოჰქონონ, და ესეც ამა ცერეცოს წყალშიგა ჩაურიონ, მოადუღონ, ყავამზედა მოყვანონ და სვან. ესე შარბათი ამა სენისათვის მწოვედ კარგი და მრავალჯერ დაცდილი არის. მაგრა ესე შარბათი და წამლები მწოვედ ცხელი არ უნდა სვან, თვარამდა ესე იცოდით, მწოვედ შარდსა უფრო შეხუთვეს.

ციებ ცხელების დროს საჭმელი ცოტა აჭამონ და ყველასა დაწოლის დროსა კიტრისა, ნესვისა, შეუმხიარისა და ქასნის თესლის გულები დანაყონ, და ამათი რძე გამოჰქონონ, და სიქანჯუბინშიგა გაურიონ და ასვან, და გულსა და სტომაქზედა ცივი ვარდის ერბო გარდაკრან".

გველისა და მორიელის ნაკენზე სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ნახსენებია ნების ზეთი. ნების ზეთის ბაზაზე დამზადებული მალამ... „ვინცა თეთრის ნების თესლი ან გული დანაყოს და ამისი წვერი ასეას და ნაკენზედაცა დასცხოს ყოვლის მძრომლისა, ნაკენისა, თერიაფი და გამქარვებული არის“.

### დასკვნა

ამრიგად, ჩვეულებრივი კაკლის (*Juglans regia*) და თხილის (*Corylus*) ნაყოფების, გოგრის (*Cucurbita*) და ნების (*Cucumis melo*) თესლების სამკურნალო მნიშვნელობა საინტერესოდ დასტურდება ქართული ლიტერატურული წყაროებით; ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ისტორიულ წყაროებში და კარაბადინებში მოტანილ მასალებს.

როგორც ირკვევა:

ა) ნების თესლი – პოტენციის ასამაღლუბელი უძველესი საშუალებაა, ის მდიდარია თუთით, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი საკვებად გამოყენება აუმჯობესებს თმისა და კანის მდგომარეობას; გველისა და მორიელის ნაკენზე სხვა სამკურნალო საშუალებებთან ერთად ნახსენებია

ნების ზეთი. ნების ზეთის ბაზაზე დამზადებული მალამო;

ბ) გოგრის თესლი – არის ძლიერი ჰეპატოპრო-ბენტორი, მისი ზეთი იცავს დვიძლს და ნადვლის ბუშტს ქვების დაგროვებისგან; ის იცავს დვიძლს და ნადვლის ბუშტს ქვების დაგროვებისგან და აუმჯობესებს დვიძლისა და ნადვლის ბუშტის მუშაობას;

გ) ნიგზის ნაყოფი და ზეთი – რეკომენდებულია ქაჭ-ნაწლავის ტრაქტის, გულ-სისხლ-მარჯოთა და ენდოკრინული სისტემების, ნერვული სისტემის და თავის ტვინის დაგვადების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისთვის;

დ) თხილის კულტურა – თავისი ეკონომიკური მნიშვნელობით დიდ ინტერესს იწვევდა და დღესაც კურადღების ცენტრშია, რასაც უპირველეს ყოვლისა განაპირობებს მისი ნაყოფის მრავალმხრივი გამოყენება. როგორც ქართულ, ასევე ძველბერძნულ ხალხურ მედიცინაში თხილის ზეთით მკურნალობა ცნობილია ანგმის, ეპილეფ-სის, თმის ცვენის, სხვადასხვა დაავადების დროს, თხილის ნაყოფის საბურვების (ჩენწოს) ნახარშს სვამენ მოჭარბებული სიმსუქნის დროს, ფოთლების ნახარში კი ასუფთავებს სისხლს და მიმართავენ ათეროსკლეროზის და კენჭოვანი დავადებების სამკურნალოდ.

### ლიტერატურა

1. Lisitsyn A. N., Klyuchkin V. V., Paronyan V.Kh. Fat and oil industry / Monograph "Food industry in Russia in a market economy". Pishchepromizdat. Moscow. 2002. (in Russian).
2. Gelovani N., Tsintsadze T., Tsikarishvili Kh., Gvelesiani I., Targamadze L. The culture of Melon (*CUCUMIS - MELO*) in Georgian historical sources. Georgian chemical journal. Vol. 11, (4). 2011, 469-471 pp. (in Georgian).
3. Skhiladze R., Gelovani N., Tsikarishvili Kh. Drug technology. "Saunje". Tbilisi. 2009 (in Georgian).
4. Skhiladze R., Gelovani N., Tsikarishvili Kh. The origins of drug technology. "Saunje". Tbilisi. 2009 (in Georgian).
5. Ioseliani D. Encyclopedia of folk Medicine. Tbilisi. 2003, 240 pp. (in Georgian).
6. Kheteshvili S. Health treasure. "Khelovneba". Tbilisi. 2008 (in Georgian).
7. Gogichadze G., Kandelaki G., Gogichadze T. Dictionary of biological and medical terms and concepts. "Meridian". Tbilisi. 2011, 442 pp. (in Georgian).
8. Bagrationi D. Iadigar Daudi. 16th-century medical encyclopedia. Edit. Elerdashvili A. "Fantazia". Tb., 2006 (in Georgian).

UDC 613.26

SCOPUS CODE 3002

## THE MEDICINAL VALUE OF JUGLANS REGIA AND CORYLUS YIELDS, CUCURBITA AND CUCUMIS MELO SEEDS ACCORDING TO GEORGIAN FOLK SOURCES

<b>G. Pataridze</b>	Department of Chemical Technology and Biotechnology, 68 <sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia E-mail: gigapataridze7@gmail.com
<b>N. Gelovani</b>	Department of Chemical Technology and Biotechnology, 68 <sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia E-mail: n.gelovani@gtu.ge
<b>M. Maisuradze</b>	Department of Chemical Technology and Biotechnology, 68 <sup>a</sup> M. Kostava str, 0175 Tbilisi, Georgia E-mail: m_maisuradze@gtu.ge

### Reviewers:

**T. Gigoshvili**, Associate Professor, Department of Pharmacy, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU  
E-mail: t.gigoshvili@gtu.ge

**Kh. Tsikarishvili**, Associate Professor, Department of Pharmacy, Faculty of Chemical Technology and Metallurgy, GTU  
E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**ABSTRACT.** A large number of plants used in folk medicine requires a number of appropriate scientific researches to determine the content of biologically active substances in them, the area of their distribution, natural resources and production capabilities.

From the plants we have selected: 1. the hazelnut (*Corylus*), 2. the usual walnut (nut, *Juglans Regia*), 3. *Cucurbita* seeds, 4. *Cucumis Melo* seeds.

Hazelnut oil is used in food, technical and perfume products. Flour from dry hazelnut nuts makes flour, which is used for baby food products.

The oil of walnut (*Juglans Regia*) contains vitamins A, E, C, B, micro- and macronutrients (zinc, copper, calcium, magnesium, iron, phosphorus). This product is indispensable to the elderly.

There were many pumpkin names used in Georgia: pumpkin, kwah, hapi and akiro. The pumpkin flesh and seeds are used medicinally. Seeds contain phytosterols, organic acids, resins, vitamins.

The health properties of these plants are mentioned in medical monograph "Iadigar Daudi".

Melon seeds are rich in zinc, which means that it is used as a medicine to improve the condition of hair and skin.

**KEY WORDS:** *Corylus*; *Cucurbita* and *Cucumis Melo* seeds; *Juglans Regia*; natural resources.

UDC 613.26  
SCOPUS CODE 3002

## МЕДИЦИНСКАЯ ЦЕННОСТЬ ПЛОДОВ: ГРЕЦКОГО ОРЕХА (JUGLANS REGIA), ФУНДУКА (CORYLUS), СЕМЯН ТЫКВЫ (CUCURBITA) И ДЫНИ (CUCUMIS MELO) В СООТВЕТСТВИИ С ГРУЗИНСКИМИ НАРОДНЫМИ ИСТОЧНИКАМИ

Патаридзе Г.Г.	Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69 E-mail: gigapataridze7@gmail.com
Геловани Н.Дж.	Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69 E-mail: n.gelovani@gtu.ge
Майсурадзе М.Г.	Департамент химической и биологической технологий, Грузинский технический университет, Грузия, 0175, Тбилиси, ул. М. Костава, 69 E-mail: m_maisuradze@gtu.ge

### Рецензенты:

Т. Гигошвили, ассоциированный профессор Департамента фармации факультета химической технологии и металлургии ГТУ
E-mail: t.gigoshvili@gtu.ge
Х. Цикаришвили, ассоциированный профессор Департамента фармации факультета химической технологии и металлургии ГТУ
E-mail: kh.tsikarishvili@gtu.ge

**АННОТАЦИЯ.** Большое количество растений, используемых в народной медицине, требует от них ряда научных исследований. Чтобы определить содержание в них биологически активных веществ, территории их распространения, природных ресурсов и производственных возможностей, из растений мы выбрали: плоды: 1. грецкого ореха (*Juglans regia*) и 2. фундука (*Corylus*), семена 3. тыквы (*Cucurbita*) и 4. дыни (*Cucumis melo*).

Масло фундука используется в пищевых, технических и парфюмерных продуктах. Из сухих орехов фундука делают муку, которая используется для продуктов детского питания.

Масло грецкого ореха (*Juglans regia*) содержит витамины A, E, C, B, микро- и макроэлементы (цинк, медь, кальций, магний, железо, фосфор). Этот продукт незаменим для пожилых людей.

В Грузии было много названий тыквы: тыква, квах, хапи и акиро. Используются для лечения мякоть и семена тыквы.

В лечебных целях используются семена и мякоть тыквы. В древней книге Ядгара Дауди указано о полезных свойствах этих растений.

Семена дыни богаты цинком, это означает, что они используются в качестве лекарственного средства для улучшения состояния волос и кожи.

**КЛЮЧЕВЫЕ СЛОВА:** грецкий орех;природный ресурс; семена тыквы; фундук.

ვანების თარიღი 03.07.2017  
უმოსების თარიღი 03.03.2018  
ხელმოწერის დასაბეჭდი 05.06..2018